

1 თქვენს ვებგვერდს უნდა ჰქონდეს:

- მომხმარებლის განცხადებული პირობები (Terms of use)
- მომხმარებლის კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა (Privacy)
- პროდუქტის დაბრუნების პოლიტიკა (Returns)
- ხელშეკრულების დეტალური პირობები (Terms and Conditions)
- კომპანიის იურიდიული სახელი და სარეგისტრაციო ნომერი
- კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია - ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომრები



ჩვენი სპეციალისტები დაგეხმარებიან საჭიროების შემთხვევაში

მნიშვნელოვანია: მერჩანტის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

თქვენ უნდა წარმოადგინოთ გარკვეული ოფიციალური დოკუმენტაცია თქვენი კომანიის შესახებ. მიმართეთ Pay.ge ვებსაიტს



2 უნდა გქონდეთ Pay.ge ანგარიში

- გააკეთეთ განაცხადი www.pay.ge ვებგვერდიდან, ან
- დაგვიკავშირდით: service@pay.ge

3 თქვენი ვებ მაღაზია/გვერდი მუშა მდგომარეობაში უნდა იყოს

- ჩვენ განვახორციელებთ საკონტროლო შესყიდვას

ანგარიშზე უარყოფითი ბალანსისაგან თავის დაცვა:

VISA ან MasterCard ბარათებით გადახდისას ყოველთვის არსებობს ჩარჯბექის (chargeback) საშიშროება. ეს მაშინ ხდება, როცა მომხმარებელი აცნობებს თავისი ბარათის გამომცემ ბანკს, რომ მას კონკრეტული ტრანზაქცია არ შეუსრულებია, ან არ მიუღია შესაბამისი პროდუქტი/მომსახურება. უმეტეს შემთხვევაში ჩარჯბექის თავიდან აცილება შეიძლება მომხმარებელთან ურთიერთობის ნათელი და გარკვეული პირობების ჩამოყალიბებით, პროდუქტების და მომსახურების დროულად მიწოდებით.

თუ მომხმარებელი ჩარჯბექს მოითხოვს, მაშინ შესაბამისი თანხა ჩამოიჭრება თქვენი ანგარიშიდან. ჩვენ გავაკონტროლებთ, რომ თქვენ ანგარიშზე ყოველთვის იყოს საკმარისი თანხა ჩარჯბექის ოპერაციის შესასრულებლად. თუ თქვენ ანგარიშზე უარყოფითი ბალანსი გაჩნდა, მაშინ თქვენ ვეღარ შესრულებთ PAY-ს ოპერაციებს.

სტანდარტული სარეზერვო მოთხოვნა არის 10% 180 დღის პერიოდზე.

PAY ბარათებით (მათ შორის Sმარტივით) და eMoney ელექტრონული საფულით გადახდისას არ არის ჩარჯბექი - ეს PAY სისტემაში ჩართვის კიდევ ერთი მიზეზია